

რეაბილიტაცია; მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება



## საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

№107-კოლ 9 თებერვალი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),  
ბადრი მეტრეველი,  
ლავით სულაქველიძე (მომხსენებელი),  
ნინო გვენეტაძე,  
მურმან ისაევი,  
ირაკლი ბიბილაშვილი,  
მადონა გოგელია,  
მიხეილ გოგიშვილი,  
ნანა კლარჯეიშვილი

სხდომის მდივანი – გ. მანია

პროკურორი – კ. მაჭავარიანი

ადვოკატი – ქ. ბ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი – ლ. გ.

მომჩივანი – ი. დ.

განიხილა ი. დ.-ის კერძო საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგის 2003 წლის 29 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც განმცხადებელ ი. დ.-ს უარი ეთქვა რეაბილიტაციასა და მორალური და მატერიალური ზიანის კომპენსაციისათვის 10 000 000 (ათი მილიონი) ევროს ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კერძო საკასაციო საჩივრით კასატორი ითხოვს აღნიშნული განჩინების გაუქმებასა და რეაბილიტაციას, აგრეთვე მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ მის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) 10 (ათი) მილიონი ევროს ეკვივალენტის დაკისრების შესახებ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ი. დ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (1992 წლის 2 აგვისტოს რედაქცია), მე-17 მუხლითა და 69-ე მუხლით (1991 წლის 2 აგვისტოს რედაქცია), 78-ე მუხლით (1991 წლის 2 აგვისტოს რედაქცია), მე-17 მუხლითა და 104-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე პუნქტებით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) და 104-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე პუნქტებით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, კერძოდ, როგორიცაა: ტერორისტული აქტის მცდელობა, ე.ი. ხელისუფლების წარმომადგენლის ქონების განადგურების მცდელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით; აგრეთვე, ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით; დივერსიის მცდელობა; ბანდიტიზმი; დამამძიმებელ გარემოებებში – მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა და დამამძიმებელ გარემოებებში – მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მრავალი პირის განზრახ მკვლელობის ჩადენა.

ი. დ.-ს ჩადენილ დანაშაულთათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა: სსკ-ის მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით; მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 (ცამეტი) წლის ვადით; მე-17 მუხლითა და 69-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 13 (ცამეტი) წლის ვადით; 78-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით; მე-17 მუხლითა და 104-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე პუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით; 104-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე პუნქტებით – სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა.

სსკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებული უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპის შესაბამისად, ი. დ.-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა სიკვდილით დასჯა. თავისუფლების აღკვეთაში იგი იმყოფებოდა 1992 წლის 3 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის ბრძანებულებით ი. დ.-ს სიკვდილით დასჯა შეუცვალა 20 (ოცი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით.

2001 წლის 10 აგვისტოს, სსსკ-ის 680-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გადასინჯა ი. დ.-ის ბრალდების საქმე და გამოიტანა განჩინება, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის განაჩენში მის სასიკეთოდ შეიტანა შემდეგი ცვლილება, კერძოდ: ი. დ.-ეს მოეხსნა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით, მე-17 მუხლითა და 69-ე მუხლით, აგრეთვე 78-ე მუხლით შერაცხული ბრალდებები და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო დარჩენილი ბრალდებების ნაწილში მას შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ ი. დ.-ს მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლითა და

6 (ექვსი) თვის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 1992 წლის 3 სექტემბრიდან.

ამავე დროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2001 წლის 10 აგვისტოს განჩინებაში პირდაპირ მიუთითა, რომ ი. დ.-ის მიმართ სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის შეფარდება სამართლებრივად არასწორი იყო. პალატამ ი. დ.-ის მიმართ საბოლოო მოსახლელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის (12 წელი და 6 თვე) განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სიკვდილით დასჯის არასწორად დანიშვნის გამო, ი. დ.-მ 2 (ორი) წელი და 5 (ხუთი) თვე სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა, რაც მეტად მძიმე ფსიქოლოგიურ ჭრაგმას წარმოადგენს.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით ი. დ. პირობით ვადაზე აღრე გათავისუფლდა დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან, ე.ი. საბოლოოდ მოსახლელად დარჩენილი სასჯელიდან (12 წელი და 6 თვე) მან რეალურად მოიხადა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით.

2003 წლის 6 მარტს ი. დ. განცხადებით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეარყია უკანონოდ დანიშნული სიკვდილის დასჯის თაობაზე გამოტანილი განაჩენის აღსრულების ყოველდღიურმა მოლოდინმა და სიკვდილმისჯილთა საკანში ორი წელიწადისა და ხუთი თვის განმავლობაში უსაფუძვლოდ ყოვნამ, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს წამებასა და სასტიკ მოცყობას, რის შედეგადაც მან განიცადა მორალური ზიანი. გარდა ამისა, ი. დ. თავის განცხადებაში მიუთითებს, რომ მისი ბრალდების საქმის გამოძიების ეტაპზე მის მიმართ სამართალმწარმოებელი ორგანოები იყენებდნენ წამების სასტიკ მეთოდებს, რითაც მან განიცადა ფიზიკური ზიანი, რის გამოც დასჭირდა მკურნალობა და საამისოდ მატერიალური ხარჯების გაწევა.

საბოლოოდ ი. დ. განცხადებით ითხოვდა რეაბილიტაციასა და სისხლის სამართალმწარმოების ორგანოების მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებით მისთვის მიყენებული მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზიანის საზღაურად მის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის 10 (ათი) მილიონი ევროს ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დაკისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ი. დ.-ის განცხადება და 2003 წლის 29 ივლისის განჩინებით უარი უთხრა მას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მორალური თუ სხვაგვარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც უკავშირდება პატიმრობაში ყოვნას, მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს რეაბილიტირებულ პირს, ხოლო ი. დ.-ს რეაბილიტაციის საფუძველი არ გააჩნია, რის გამოც დაპატიმრებით განცდილი მორალური თუ სხვაგვარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება. სასამართლო კოლეგია თავის გადაწყვეტილებაში აგრეთვე მიუთითებს: ის ფაქტი, რომ ი. დ. სასჯელს იხდიდა სიკვდილმისჯილთა საკანში, სადაც იყო მძიმე პირობები, დაავადდა და სასჯელის მოხდის შემდეგ დასჭირდა მკურნალობა, ვერ იქნება რეაბილიტაციისა და მისთვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 29 ივლისის განჩინების შესახებ ი. დ. საჩივრით მიმართა საკასაციო ინსტანციას – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მის მიერ შეტანილი კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით სახელმწიფოსათვის 10 მილიონი ევროს ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დაისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, შეისწავლა რა ი. დ.-ს კერძო საკასაციო საჩივარი და სხვა მასალები, 2003 წლის 18 დეკემბერს გამოიტანა განჩინება, რომლითაც დაადგინა: ვინაიდან საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 549-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კასატორ ი. დ.-ის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შეტანილი საჩივარი განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში ი. დ.-ის კერძო საკასაციო საჩივრის განხილვა დაიწყო 2004 წლის 26 იანვარს, ხოლო განხილვა გაგრძელდა და დამთავრდა 2004 წლის 9 თებერვალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სხდომაზე განხილვისას კასატორმა ი. დ.-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ქ. ბ.-მა მხარი დაუჭირეს კერძო საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკამაყოფილება. ისინი თავიანთ მოთხოვნას, ძირითადად, აფუძნებენ შემდეგ გარემოებებზე:

1. ფაქტებითა და დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ მსჯავრდებული ი. დ. 1995 წლის 6 მარტიდან, ე.ი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დღიდან, 1997 წლის 25 ივლისამდე, ანუ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი შეწყალების დღემდე, იმყოფებოდა სიკვდილმისჯილთა საკანში;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 10 აგვისტოს განჩინებით საბოლოოდ დადგინდა, რომ ი. დ.-ის მიმართ სიკვდილით დასჯის შეფარდება სამართლებრივად არასწორი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართალწარმოების ორგანომ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ, მას უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაუნიშნა განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა;

3. მსჯავრდებულ ი. დ.-ის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შეარყია სიკვდილმისჯილთა საკანში 2 წლისა და 5 თვის განმავლობაში უკანონო ყოფნამ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური და სულიერი წამება და სასტიკი მოპყრობა;

4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით, არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, ანდა ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს;

5. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს, რომ წამების მსხვერპლმა მიღოს ანაზღაურება და ჰქონდეს შესაბამისი კომპენსაციის მიღების ხელშეუვალი უფლება;

6. ი. დ.-ის მიმართ სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მისი ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას, ე.ი. სასამართლოში საქმის გადაცემამდეც, რაც დადასტურებულია ადამიანის უფლებების დამცველი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნებით;

7. სისხლის სამართლწარმოების ორგანოების – პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს უკანონო ქმედებებით ი. დ.-მ მიღო არა შხოლოდ მძიმე მორალური ზიანი, არამედ, ასევე – ფიზიკური და მატერიალური ზიანიც ჯანმრთელობის შერყევის შედეგად, რის გამოც სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შემდეგ დასჭირდა ხანგრძლივი მკურნალობა ჯანმრთელობის აღსადგენად და სამისოდ სოლიდური მატერიალური უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ხარჯების გაწევა;

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2001 წლის 10 აგვისტოს განჩინებით ი. დ.-ის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით, მე-17 მუხლითა და 69-ე მუხლით, 78-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის თაობაზე წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კასატორსა და მის დამცველს მიაჩნიათ, რომ არსებობს დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველი მისი რეაბილიტაციისათვის ბრალდების იმ ნაწილში, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2001 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით მის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე მის მიერ განცდილი მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

დიდი პალატის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლ. გ.-მ მხარი არ დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივარს და მოთხოვა: კასატორსა და მის დამცველს უარი ეთქვათ მათ საჩივარში წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ი. დ.-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან და ამ დანაშაულის შედეგებიდან, აგრეთვე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ არსებობს კომპენსაციის გაცემის კანონიერი საფუძველი.

პროკურორმა კ. მაჭავარიანმა მხარი არ დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ი. დ.-ის რეაბილიტაციის თაობაზე, ვინაიდან, მისი აზრით, არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობს კასატორის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ამასთან აღნიშნა: იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით, ი. დ.-ის მიმართ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის – შეფარდება და მისი მოთავსება სიკვდილმისჯილთა საკანში, სადაც მან გაატარა 2 წელი და 5 თვე, სამართლებრივად არასწორი იყო, რის გამოც განიცადა

გარკვეული მორალური ზიანი, მას მიზანშეწონილად მიაჩნია კასატორისა და მისი დამცველის მოთხოვნა ამ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მას საკომპენსაციო თანხა განესაზღვროს 5 (ხუთი) ათასი ლარის ოდენობით.

## ს ა მ თ ტ ი ვ ა ც ი თ ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ, შეისწავლა რა ი. დ.-ის კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მასთან დაკავშირებული მასალები და მოუსმინა მხარეებს, მიაჩნია, რომ კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

დღიდ პალატა თვლის, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე სასამართლო განჩინება გამამართლებელი საფუძვლით პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იწვევს მის რეაბილიტაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის მიხედვით, ასეთი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს რეაბილიტაციის აქტს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 10 აგვისტოს განჩინებით, რომლის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ ი. დ.-ის ბრალდების საქმეში არ მოიპოვება მასალები, რომლებითაც უტყუარად დადასტურდებოდა მის მიერ ტერორისტული აქტის მცდელობის, დივერსიის მცდელობისა და ბანდიტიზმის ჩადენა, ხოლო ამის შესაბამისად სარეზოლუციო ნაწილი ადგენს საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლითა და 67-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით, მე-17 მუხლითა და 69-ე მუხლით, 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებათა ნაწილში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ი. დ. მითითებულ ბრალდებათა ნაწილში უნდა ჩაითვალოს უკვე რეაბილიტირებულად სსკ-ის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც საჭირო აღარ არის რეაბილიტაციის თაობაზე მისი მოთხოვნის ხელახლა განხილვა.

პალატა საესებით იზიარებს კასატორ ი. დ.-ის და მისი დამცველის იმ პოზიციასა და არგუმენტებს, რომლებიც შეეხებიან მის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის გამამტყუნებელი განაჩენით სიკვდილით დასჯის უსაფუძვლოდ და კანონსაწინააღმდეგოდ შეფარდებას, რაც დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 10 აგვისტოს განჩინებით. იგი თითქმის 2 წლისა და 5 თვის განმავლობაში ნამდვილად იმყოფებოდა სიკვდილმისჯილთა საკანში, სადაც გაიარა ე.წ. „სიკვდილის დერუფანი”, რამაც უსათუოდ მიაყენა მას დიდი ფსიქიკური ტრავმა, რითაც განიცადა მორალური ზიანი, ხოლო მიყენებული ზიანი მას უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფოს მიერ სათანადო ფულადი კომპენსაციის სახით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მეოთხე ნაწილის, 220-ე მუხლისა და 227-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად.

სსკ-ის 220-ე მუხლის მიხედვით, ნაწილობრივი რეაბილიტაციის საფუძველია შემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის ღონისძიების შეცვლა, თუ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი აღმოჩნდა მეტი ან უფრო მკაცრი, ვიდრე საბოლოოდ დანიშნული. სასჯელის გაუმართლებელი სიმკაცრე წარმოადგენს მორალური ზიანის

ანაზღაურების საფუძველს, ვინაიდან უსამართლო სასჯელის დანიშვნა და სასამართლოს მიერ საბოლოოდ დანიშნულ სასჯელზე მეტის მოხდა პირს უსაფუძვლოდ აყენებს ზედმეტ სულიერ ტკივილებს. რაც შეეხება სიკვდილით დასჯის არასწორად შეფარდებას, მართალია, ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული სსსკ-ის 220-ე მუხლში, მაგრამ დიდი პალატა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს სსსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ ანალოგიურ სიტუაციასთან. როგორც სიკვდილით დასჯის საქმებზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრატეტიკა გვიჩვენებს, მსჯავრდებული სიკვდილით დასჯის მოლოდინში იტანჯება ძლიერი სულიერი განცდებისაგან. სიკვდილით დასჯის უკანონოდ დანიშვნა და თითქმის ორი წლისა და ხუთი თვის განმავლობაში მისი აღსრულების მოლოდინი, რასაც ადგილი პქონდა ი. დ.-ის შემთხვევაში, წარმოადგენს ნაწილობრივი რეაბილიტაციის ისეთ საფუძველს, რისთვისაც მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლებრივად სავსებით დასაბუთებულია.

საბოლოოდ პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასატორ ი. დ.-ს უნდა აუნაზღაურდეს ის მორალური ზიანი, რომელიც მან, უპირველეს ყოვლისა, განიცადა მის მიმართ უკანონოდ სიკვდილით დასჯის შეფარდებისა და სიკვდილმისჯილთა საკანში ყოფნის, აგრეთვე მისი ბრალდების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დაშვებული სხვა დარღვევების გამო.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, პალატა არ იზიარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის – ლ. გ.-ს პოზიციას, რომლის მიხედვით, ი. დ.-ს არ გააჩნია რეაბილიტაციის საფუძველი, ხოლო მორალური ზიანის საზღაური შეიძლება მიეცეს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. როგორც აღინიშნა, კასატორი ი. დ. ნაწილობრივ უკვე რეაბილიტირებულია, ხოლო სიკვდილმისჯილთა საკანში უსაფუძვლო ყოფნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნამდვილად განიცადა მორალური ზიანი, რის შესახებაც მან არგუმენტები სავსებით დასაბუთებულად წარმოადგინა.

იმავე მოსაზრებით პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საკასაციო საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილე პროკურორის მიერ წარმოდგენილ დასკვნას იმ ნაწილში, სადაც უარყოფილია ი. დ.-ის ცალკეულ ბრალდებებთან მიმართებაში რეაბილიტაციისა და მის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის ჯეროვანი და სამართლიანი საფუძვლის არსებობა.

ამავე დროს პალატას მიაჩნია, რომ კასატორ ი. დ.-ის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა – სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის მის სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) 10 (ათი) მილიონი ევროს ეკვივალენტის მოცულობით განსაზღვრის თაობაზე, არის ძალზე გადაჭარბებული, რეალურ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელი, რაც სცილდება გონივრული და სამართლიანი თვალსაზრისით დასაშვებ ფარგლებს.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩევის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩევე უფლებამოსილია, სასარჩევო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის თხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩევის მხოლოდ მოსაზრება და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა

გადაწყდეს. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს უფლებების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. იგი უნდა განისაზღვროს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამასვე მოწმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მსგავს საქმეებზე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, №6, გვ. 1527-1528).

პალატას არასამართლიანად მიაჩნია პროკურორის მიერ ი. დ.-ის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის დასაკისრებლად მოთხოვნილი თანხის ოდენობა – 5000 (ხუთი ათასი) ლარი, რომელიც თავისი სიმცირის გამო არ შეესაბამება მისთვის მიყენებული ზიანის ხასიათსა და მნიშვნელობას.

ამრიგად, პალატა, ითვალისწინებს რა საქმის ყველა გარემოებას, კასატორ ი. დ.- სათვის სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ხასიათსა და მნიშვნელობას, ამასთან, ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, მიზანშეწონილად თვლის, რომ მისი მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე თანხის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თანხა, რომელიც მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფოს, განისაზღვროს გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რეაბილიტაციისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ი. დ.-ის განცხადების განხილვისას ჯეროვანი შეფასების გარეშე დატოვა დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებები და ისე მიიღო სამართლებრივად უსაფუძვლო გადაწყვეტილება წსენებული განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რის გამოც ამ კოლეგიის 2003 წლის 29 ივლისის განჩინება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს.

## **ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო      ნ ა წ ი ლ ი :**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდმა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 219-ე – 227-ე მუხლებით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე” ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

ი. დ.-ის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს საქართველოს უზნაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგის 2003 წლის 29 ივლისის განჩინება ი. დ.-სთვის რეაბილიტაციასა და მორალური და მატერიალური ზიანის 10 000 000 (ათი მილიონი) ევროს ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ.

ი. დ.-ის სასარგებლოდ მისთვის სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყწებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვროს 20000 (ოცი ათასი) ლარით.

ი. დ.-ის სასარგებლოდ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის გადახდა დაეკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

განჩინება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, იგი საბოლოოა და არ საჩივრდება.